ამერიკის სამხრეთის მითი და უილიამ ფოლკნერი

ნანა გუბელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
7nanagubeladze7@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2022.783

ამერიკის სამხრეთმა, შეერთებული შტატების სხვა ნაწილებისგან განსხვავებით, ყველაზე დიდხანს რეგიონული შეგნება შეინარჩუნა. სწორედ ეს „ისტორიული შეფერხება“ წარმოადგენს განსხვავებული სამხრეთული ფიქრებისა და გრძნობების წყაროს. 1861 – 1865 წლების, ამერიკის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის გაჩაღებულ სამოქალაქო ომში განცდილი მარცხის შემდეგ, სამხრეთს აღარ შეეძლო სრულად და თავისუფლად მიეღო მონაწილეობა ამერიკული საზოგადოების განვითარებაში. სწორედ აღნიშნულის გამო, ჩრდილოეთთან და დასავლეთთან შედარებით, სამხრეთში ინდუსტრიალიზმი და კაპიტალიზმი შედარებით გვიან და ნაკლები სიმძლავრით დამკვიდრდა. ყოველივე ეს სამხრეთის მარცხთან შეუგუებლობით და გარიყულობის განცდით იყო განპიროებული. ის საკუთარ იდენტობას ყველაზე მძაფრად მაშინ შეიგრძნობდა, როცა ამერიკელი ერის თვითშეგნება ყალიბდებოდა. სანამ შეერთებული შტატების სხვა რეგიონები ნგრევას განიცდიდნენ, სამხრეთი მთელი ძალით ერთიანობის შენარჩუნებას ცდილობდა. მათ 11 შტატისაგან სამხრეთის შტატების კონფედერაცია შექმნეს, რასაც 8000 არისტოკრატიული ოჯახი განაგებდა, რომელთაც საშუალოდ 50 მონა ჰყავდათ. მათ სამხრეთისათვის დამახასიათებელი ტრადიციები და წესჩვეულებები ახასიათებდათ, რაც თითოეული სამხრეთელისათვის უმნიშვნელოვანესი იყო.

სამოქალაქო ომში დამარცხების შემდეგ, ამ რეგიონს სხვა რამის მიცემა ნაკლებად შეეძლო საკუთარი ხალხისთვის. მას, ისღა დარჩენოდა წარსულის აკვიატებული გრძნობა განევითარებინა მათში. სამხრეთისთვის მიუღებელი იყო დომინანტური ამერიკული ღირებულებები - პროგრესული ოპტიმიზმი თუ კომერციული განვითარება, რაც ქვეყნის დანარჩენ ნაწილში მკვიდრდებოდა. ის ისტორიის გასაყარზე ცხოვრობდა. მარცხის შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში სამხრეთელმა მწერლებმა შეინარჩუნეს კავშირი სამხრეთთან. სწორედ ამ რეგიონის, სოციალური სიღრმის პერსპექტივიდან ხედვა, წარმოადგენდა მნიშვნელოვან უპირატესობას, რისი შეთავაზებაც შეეძლო სამხრეთს საკუთარი მწერლებისთვის.

ამერიკის სამხრეთმა კარგი მასალა მისცა საკუთარ მწერლებს. ეს იყო ბავშვობის დროინდელი განმეორებადი სიზმრის სიუჟეტი. თითოეული სამხრეთელისათვის მთავარი თემა, სამშობლოს მიერ განცდილი მარცხია. თუმცა, შესაძლოა ის სხვადასხვა ფორმით იყოს გამოხატული ნაწარმოებში(მაგ.: „მემფისის თეთრი ვარდი“ და „ხმაური და მძვინვარება“). ამ გულისტკივილს, ალენ ტეიტის ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში ამოვიცნობთ : “the destruction by war and the later degradation by carpetbaggers and scalawags, and a consequent lack of moral force and imagination in the cynical materialism of the New South“. [Claridge H.1999:131] სამოქალაქო ომამდე, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, კი ჰოთორნმა აღნიშნა: No author can conceive of the difficulty of writing a romance about a country where there is no shadow, no antiquity, no picturesque and gloomy wrong, not anything but a commonplace prosperity.” [Hauthorne J., 2020:33] თუმცა, ის, რის ნაკლებობაზეც ჰოთორნი წერდა, სწორედ ომმა და რეკონსტრუქციამ მისცა სამხრეთელ მწერლებს. სერიოზული სამხრეთული მწერლობა გამოჩნდა მაშინ, როცა რეგიონულმა შეგნებამ ნგრევა დაიწყო. ამ შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ 1910-1920 წლებამდე სამხრეთში არ იყო საკმარისი ფული, რათა ახალგაზრდებს განათლება მიეღოთ ან მათთვის სტიმული მიეცათ ისეთი სოციალური ფუფუნების შესაქმნელად, როგორიცაა მწერლის კარიერა. მარცხით გატეხილ სამხრეთს, არც ენთუზიაზმი გააჩნდა და არც საკუთარი სერიოზული ლიტერატურული ტრადიციის გახსენება შეეძლო. ომამდელი სამხრეთული მწერლობა მეტწილად სენტიმენტალური იყო. მისი ნიჭიერი წარმომადგენლები საკუთარ თავს პოლიტიკას და ორატორობას უძღვნიდნენ და ლიტერატურას აღიქვამდნენ, როგორც უმნიშვნელო საქმიანობას, რომელიც არ იყო საკმარისი მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების მისაზიდად. მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, მიუბრუნდნენ ისინი წერის ხელოვნებას.

სწორედ მეოცე საუკუნის ცხოვრების რეალობამ განაპირობა ამდენი სამხრეთელი მწერლის რეგიონული წარსულისკენ მიბრუნება, სამხრეთული აგრარიანიზმის სლოგანები აღიქმებოდა, არა როგორც სერიოზული სოციალური შეთავაზებები მსოფლიოს ყველაზე ინდუსტრიალიზებული ქვეყნის მიერ, არამედ, როგორც თანამედროვე ცხოვრებასთან განხეთქილების ნიშნები. როგორც ურბანული უსახურობის ბრწყინვალე, ხშირი კრიტიკა, ისინი იმსახურებდნენ, რომ სერიოზულად ყოფილიყვნენ აღქმული.

სამხრეთელი მწერლებისათვის, საჭირო იყო ევროპული ლიტერატურული წარსულის ცოდნა. სამხრეთული წარმოსახვის აფეთქების სტიმულაციისთვის საჭირო იყო ევროპული და ჩრდილოური იდეები და ლიტერატურული მოდელები. ყოველივე ამის გარეშე, რეგიონულის წარმოჩენა, უბრალოდ წარსულის მოსაწყენი გაიდეალება იქნებოდა და ვერ მოახდენდა აწმყოს გაგებას. როცა სამხრეთი იქცა განსხვავებულ რეგიონად, მაგრამ უკვე განიცდიდა ნგრევას უცხო გავლენების გამო, მას შეეძლო ხელოვნების სერიოზული ნიმუშების შექმნა. როგორც ალენ ტეიტმა განსხვავებულ სამხრეთულ შეგნებაზე აღნიშნა: “consciousness is quite temporary. It has made possible the curious burst of intelligence that we get at the crossing of the ways, not unlike, on an infinitesimal scale, the outburst of poetic genius at the end of the sixteenth century when commercial England had already begun to

crush feudal England." [Claridge, H.,1999:131] ალენ ტეიტის სიტყვებიდან ჩანს, რომ სამხრეთულმა ლიტერატურამ დიდებულება და სერიოზულობა მხოლოდ მაშინ შეიძინა, როცა მან, როგორც რეგიონმა დაიწყო კვდომა, როცა მის მწერლებს მოუხდათ წარსულთან მიბრუნება.

უილიამ ფოლკნერი, სწორედ ის მწერალია, ვინაც მტკივნეულად განიცადა სამხრეთის მარცხი, ვისი ყოველი ნაწარმოები სამხრეთის თემას ეხება. ყველა მის რომანსა, თუ მოთხრობაში იგრძნობა სამხრეთის მაჯისცემა. ამ გულისტკივილს ფოლკნერი რომანტიკულად აღწერს საკუთარ ნაწარმოებში „დროშები მტვერში" (Intruder in the Dust):

"…For every Southern boy fourteen years old, not once but whenever he wants it, there is the instance when it`s still not two o`clock on that July afternoon in 1863, the brigades are in position behind the rail fence, the guns are laid and ready in the woods and the furled flags are already loosened to break out and Pickett himself with his long oiled ringlets and his hat in one hand probably and his sword in the other looking up the hill waiting for Longstreet to give the word and it`s all in balance, it hasn`t happened yet, it hasn`t even begun…"[Claridge, H., 1999:312]

ამგვარად, ბევრი კრიტიკოსის მსგავსად საკმარისი არ არის მხოლოდ იმის თქმა, რომ ფოლკნერი ტრადიციული მორალისტია, რომლის კრეატიულ ძალას სამხრეთული მითი ასაზრდოებს. სინამდვილეში, ის ეწინააღმდეგება და ამავდროულად ეთანხმება საკუთარ ტრადიციებს, ებრძვის სამხრეთულ მითს მიუხედავად იმისა, რომ აღიარებს მას. მისი დამოკიდებულება საკუთარ შეხედულებებთან უფრო რთული და ამბივალენტურია, ვიდრე სხვა მე-19 საუკუნის ამერიკელი მწერლებისა. ჩვენ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მელვილი და უიტმენი თავიანთ მთავარ ნამუშევრებში მე-19 საუკუნის ამერიკის დემოკრატიული ძლიერი სურვილების გავლენას განიცდიდნენ. იგრძნობა, რომ „მობი დიკი" და „ბალახის ფოთლები" ის წიგნებია, რომელთა უკანაც მთელი ეპოქის რესურსები დგას. მელვილის ეპიკური კონცეფციები და უიტმენის მჭერმეტყველება ნაწილობრივ მიყვება მითს, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია და შეუძლია თავდადებული ქმედებისკენ უბიძგოს ადამიანს. თუმცა, ფოლკნერი მითის გახრწნილ ნაწილებთან მუშაობს. უდავოა, რომ ფოლკნერი მელვილის გავლენის ქვეშაა, თუმცა მათ ენაში კარგად აისახება განსხვავება მტკიცე და შერყეულ რწმენას შორის.

რა არის სამხრეთული მითი? სხვა მითების მსგავსად, ეს არის ამბავი ან ამბების გროვა, რომელიც გამოხატავს ყველაზე ღრმა დამოკიდებულებებს და ასახავს ხალხის ყველაზე ფუნდამენტურ გამოცდილებას. და მისი მთავარი თემა, აღნიშნულ შემთხვევაში არის განადგურებული სამშობლოს ბედი. ამბავი გრძელდება და ჩანს, რომ სამშობლომ ამაყად დაიჟინა, რომ თავად შეეძლო საკუთარი ბედის განსაზღვრა; ის ჩაერთო ომში, რომელის მოგებაც შეუძლებელი იყო; ის იბრძოდა უკანასკნელ ძალებამდე; ის მამაცურად იბრძოდა ომში და როგორც უილიამ ფოლკნერი იტყოდა საკუთარი მარცხი აქცია არა სირცხვილად, არამედ თითქმის გამართლებად. მაგრამ სამშობლო დაეცა და ამ დაცემას მოჰყვა სიღარიბე; დამპყრობლების მიერ აოხრება; დამარცხებულთა შთამომავლებში რწმენის დაკარგვა და ახალი, უსახურ ადამიანთა მოდგმა, რომელიც სხვებს ამცირებდა. ამ

ამბებიდან გამომდინარეობს, რომ მემკვიდრეობითი დიდების სიამაყე და სამშობლოს დაცემით გამოწვეული გლოვა, ქმნიან „მიუღწეველი მიზნის“ ფსიქოლოგიას.

იყო, თუ არა უ.ფოლკნერის შემოქმედებისათვის ამერიკის სამხრეთი უმნიშვნელოვანესი და სამხრეთული მითი იდეალური? ამერიკის სამხრეთი მწერლისათვის, ის მიკროკოსმოსია, რომლის ირგვლივაც იქმნება ყველა მისი ნაწარმოები. ჯინ სტაინთან ინტერვიუში უ. ფოლკნერი ამბობს:"I discovered that my own little postage stamp of native soil was worth writing about and that I would never live long enough to exhaust it, and that by sublimating the actual into the apocryphal I would have complete lubrerty to use whatever talent I might have to its absolute top. It opened up a gold mine of other people, so I created a cosmos of my own" [Faulkner, W., 1954:7]. "აღმოვაჩინე, რომ ჩემი მშობლიური მიწის პატარა საფოსტო მარკა ღირდა იმისთვის, რომ მეწერა და მთელი სიცოცხლე არ მეყოფოდა თემის ამოსაწურად. რეალურის აპოკრიფულამდე სუბლიმირება მაძლევს ჩემი ტალანტის გამოყენების საშუალებას. მან გამიხსნა ოქროს საბადო, ასე რომ მე შევქმენი ჩემი საკუთარი კოსმოსი’’).(თარგმანი ჩემია)აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც მკვლევარი ნ. ანასტასიევი დასძენს, ფოლკნერისათვის ,,სამხრეთული განმარტოება არ იყო ქედმაღლური კარჩაკეტილობა სპილოს ძვლის კოშკში. იგი ღრმად აღიქვამდა საუკუნის პრობლემებს, პიროვნების ხვედრს სამყაროში, ადამიანის როლს და დანიშნულებას’’. [Анастасьев Н.,1984:82]. უ. ფოლკნერმა შექმნა მითიური ,,იოკნაპატოფას ოლქი’’, სადაც დაასახლა პერსონაჟები, რომლებსაც, როგორც თავად აღნიშნავს, ,,ვატრიალებ არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც... სიამოვნებას მგვრის ის აზრი, რომ ჩემს მიერვე შექმნილი ქვეყანა მთელი სამყაროს ერთგვარი ქვაკუთხედია’’.[ფოლკნერი, ნ., 1999:77].

უ.ფოლკნერი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო ომმა ეკონომიკურად, სოციალურად და ფსიქოლოგიურად დააკნინა ერთ დროს მოწინავე ოჯახები. ძველი ღირებულებების მსხვრევამ ხელი შეუწყო წარსულის მითოლოგიზაციას, ომამდელ ხანაში მდიდარი თეთრკანიანი, - პლანტატორები იყვნენ უაღრესად კეთილშობილნი, ზრდილნი, გალანტურნი, რაინდულნი, პატიოსანნი, ნამდვილი ვაჟკაცები, მაღალი ადამიანური ღირსებებით შემკულნი. სამხრეთში დიდად იყო დაფასებული ოჯახის კულტი. ქალები სათნონი, სპეტაკნი, ოჯახის ერთგულნი, ამაყნი და კდემამოსილნი იყვნენ, მამაკაცები კი მეგობრობასა და სიყვარულში თავდადებულნი, ოჯახისა და ღირსების დამცველნი. ღვთისადმი რწმენა ქმნიდა ნიადაგს ოჯახის რეპუტაციისა და ტრადიციული ღირებულებების დაცვისათვის. ასეთი იყო მითი სამხრეთის შესახებ, რომელიც თვალს ხუჭავდა მანკიერებებზე, ყალბი რომანტიკის ნიღბის ქვეშ ფარავდა. მის ცოდვებს, თუმცა ამასაც ჰქონდა თავის მიზეზები, ორასწლიანი მონობა უკვე ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდა. როგორც ისტორიკოსები წერენ. ,,მონობა სამხრეთელებისათვის ის მდგომარეობა იყო, რომლის გამოც ისინი პასუხისმგებლობას არ გრძნობდნენ .’’ [Claridge, H.,1999:75].

სამოქალაქო ომმა საბოლოოდ დაამსხვრია ტრადიციული სამხრეთის იდეალები, ყალბი მითისაგან განძარცვული ისტორია კი ქაოტური და უფორმო რჩება როგორც ,,მონათხრობი ვიღაც იდიოტის აღსავსე ხმაურით და მძვინვარებით, მეტით არაფრით

[კილაძე, ზ.,1992: 389].,,ხმაურსა და მძვინვარებაში'' დახატულია სურათი კომპსონების ტრადიციული ოჯახისა, რომელსაც გაუჭირდა გარემომცველ სინამდვილესთან შეგუება. ,,მითიური ხატები" უ. ფოლკნერის პროზაში გამოირჩევა პოეტური ორიგინალობით, აზრობრივი სირთულით და სიღრმით, რომელიც განუმეორებელია, მხოლოდ ფოლკნერულია. ასე მაგალითად, რომანში ,,ხმაური და მძვინვარება'', იდიოტიზმით დაავადებული ბენჯი, შობას 33 წლის ხდება, ეს ქრისტეს წამების ასაკია. ბენჯი, შეიძლება ითქვას, არამარტო სამხრეთის, არამედ, ღვთისსახე დაკარგული, სულიერად და ფიზიკურად დაავადებული კაცობრიობის პარადიგმატური სახეა. ისევე, როგორც ნაწარმოების ფარული ცენტრი კედი და წყლის სიმბოლო. წყლის სიმბოლო რომანში გამოხატავს სიწმინდეს, რაც ხშირად კედის სახელს უკავშირდება. ნაკადულში მოთამაშე კედი უმწიკვლობასთან ასოცირდება, მისი დასვრილი საცვალი კი მომავალში არამარტო კედის სიწმინდის, არამედ მთელი სამხრეთის მორალის დაცემას გულისხმობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფოლკნერის შემოქმედებაში მითიური და ბიბლიური სახეები არ არის ისე მრავლად, ამასთან, არც ისეთი რთულია, როგორც ჯ.ჯოისის ,,ულისეში'' ან ტ.ს.ელიოტის ,,უნაყოფო მიწაში''. უ.ფოლკნერთან მითიურ-ბიბლიური ელემენტების ასახვა უმეტესწილად ეპიზოდურია, რაც ე. თოფურიძის აზრით, არ ატარებს ,,უბრალოდ დეკორატიულ ან რიტორიკულ ხასიათს'' [თოფურიძე,ე.,1984: 42]. რომანში ,,ხმაური და მძვინვარება'' უშუალოდ არაა გადმოცემული მითიური პლანი, არამედ ,,იგი ემპირიულში მითითებული, მხოლოდ იგულისხმება, იგრძნობა, ქვეტექსტურად მოქმედებს''. [თოფურიძე,ე.,1984: 43] აქვე შეიძლება გავიხსენოთ, მამის ნების წინააღმდეგ, ,,ევა-კედის'' მოქმედება, როდესაც ის ხეზე აძვრება, რასაც ვერც ერთი მისი ძმა ვერ ბედავს, რათა გაიგოს, თუ რახდება სახლის მეორე სართულზე, რასაც ასევე კედის, როგორც სამხრეთის სიმბოლური სახის მორალური დაცემა მოჰყვება.

ამერიკის სამხრეთის მითის უმნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამხრეთის თემი. საზოგადოება რომანში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც სწორედ საზოგადოება გახლავთ ის უხილავი ძალა, გაუპიროვნებელი, კოლექტიური ,,ხმა", რომელიც, ფოლკნერის რომანებში, განსაკუთრებით კი ,,აგვისტოს ნათელში'' თავის უდიდეს, მაგრამ ფარულ ზეგავლენას ახორციელებს. სწორედ ეს გარემომცველი ატმოსფეროა ამოსავალი უ.ფოლკნერის მხატვრულ ქმნილებათა უმეტესობაში. მრავალი მკითხველისათვის ეს საზოგადოება უხილავი რჩება, ნაწარმოების არსი კი - გაუგებარი. უ. ფოლკნერის აზრით, სამხრეთის თემში შეღწეულმა დროის ახალმა სიომ ყოველგვარი ადამიანური დააკარგვინა მის წევრებს, როგორც სიკეთესა და გალმოწყალებაში, ასევე სიძულვილსა და ბოროტებაშიც. უნდა ითქვას, რომ თემის სახე მწერლისათვის ერთგანზომილებიანი არ არის. ფართო გაგებით, თემი ნაწარმოებში გაიგივებულია სიმართლესთან, მაგრამ ამასთან ერთად, ავტორი გვიჩვენებს, რომ თემი თავის ორგანიზმში ატარებს უარყოფით თვისებებსაც, რაც მის ერთიანობას შიგნიდან არღვევს. ასეთია, მაგალითად, მისი მიდრეკილება შეინარჩუნოს ძველი, დრომოჭმული წესები (მიწის ყიდვა-გაყიდვის ცუდი ტრადიცია, თუ მონობა, რაც მძიმე უღელად აწვა მხრებზე იოკნაპატოფას მცხოვრებლებს, თაობიდან თაობამდე). ამგვარად ,,თემი'', რომელიც არის სამხრეთელი საზოგადოების კოლექტიური ,,ხმა'' უდაოდ რჩებოდა ზნეობრივ ცენტრად, მაგრამ ამავე დროს იგი შემაფერხებელი ძალაც იყო, რომელიც თავის

წევრს გარკვეული კონვენციების, ჩარჩოში აქცევდა. თავის რომანებში უ. ფოლკნერი სამხრეთის თემის, ზოგჯერ, საკუთარი აზრების რუპორად გვევლინება და ზოგჯერ სმხრეთის კოლექტიური მითის კრიტიკოსად, რომელიც გარკვეულ დისტანციას ქმნის თემთან. ასეთია იოკნაპატოფას სამყაროს მხატვრული ლოგიკა. უ.ფოლკნერი აიდეალებს სამხრეთს, მაგრამ მისთვის სრულიად მიუღებელია მონობა. უ.ფოლკნერი, რომანის, ,,ხმაური და მძვინვარება'' ერთერთ გმირს ათქმევინებს: ,,...მთელი სამხრეთი, მთელი ჩვენი ოჯახი იყო განწირული და დაწყევლილი, თითქოს იმიტომ, რომ ჩვენს წინაპართაგან ერთმა შთამომავლობის დამკვიდრება გადაწყვიტა იმ მიწაზე, იმთავითვე რომ იყო განწირული და დაწყევლილი...'' [ფოლკნერი, უ., 1989:19] ეს სიტყვები ქვენტინ კომპსონს ეკუთვნის, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს მოსაზრება თავად ავტორის პოზიციასაც გამოხატავს, რადგან მსგავსი აზრი უ.ფოლკნერს გამოხატული აქვს ესეებში, წერილებში და გამოსვლებში. იგი ხშირად ამბობდა ხოლმე, სამხრეთი მონობით არის დაწყევლილიო, რადგან ფოლკნერი ამ უკანასკნელს, უდიდეს ცოდვად მიიჩნევდა, და თითქოს ამით ეხმიანება, დიდი ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირის სიტყვებს: ,,მონა ის კი არ არის, ვინც მონაა, არამედ ვინც სცოდავს“.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოლკნერი საკუთარ შემოქმედებაში, სამხრეთული მითის გრძელ, ზოგჯერ მტკივნეულ და გმირულ განსჯას ახდენს. მან საკუთარი სიამაყე წარსულისკენ მიმართა, აწმყოს სასოწარკვეთილების წინააღმდეგ და ეს საპირისპირო პოზიცია, დაძაბულობას იწვევს მის ნამუშევრებში. მან, არამხოლოდ ახლანდელი წარსულით შეაფასა, არამედ წარსულიც მითის მეშვეობით და რა თქმა უნდა მითიც იმ მორალით, რომელიც მთელი ამ პროცესის კვლევით წარმოიქმნა. მითის ამგვარი გააზრება, ცხადია არ არის უ.ფოლკნერის შემოქმედების მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, ის წარმოადგენს იოკნაპატოფას მოთხრობებისა და რომანების საფუძველს და სწორედ აქედან მოდის ხელოვანის ამბივალენტური ხედვაც, რაც ერთის მხრივ სამხრეთის იდეალიზაციის, ხოლო მეორეს მხრივ, აზროვნების სამხრეთული, შემზღუდველი მოდელის მხილებისა და გაქცევის საშუალებაა.

ლიტერატურა:

1. თოფურიძე, ე., (1984): უ. ფოლკნერის რომანის პოეტიკა ,,საბჭოთა საქართველო", თბილიი,
2. კილაძე, ზ., (1992):,,გული ცნობა და გონება", წინასიტყვაობა უ. ფოლკნერის რომანზე `ხმაური და მძვინვარება", თბილისი, ,,საქართველო".
3. ფოლკნერი, უ., (1989):,,აბესალომ, აბესალომ!", თარგმანი ზ. კილაძის ,,საბჭოთა საქართველო", თბილისი.
4. ფოლკნერი, უ., (1999):საუბრები - გულის ჭიდილი საკუთარ თავთან. ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა. თბილისი:,,ლომისი“.
5. Claridge, H., (1999): William Faulkner – Critical Assessments, Volume –IV, by MPG books Ltd bodmin, Cornwall.
6. Hauthorne J.,(2020): Confessions and Critisisms, Frankfurt am Main, Germany
7. Faulkner, W., (1954): Two Decades of Criticism. Michigan State College Press,
8. Анастасьев Н, (1984):Обновление традиции: Реализм XX века в противоборстве с модернизмом. М.,

.

Nana Gubeladze
Akaki Tsereteli state University

South American Myth and William Faulkner

Abstract

After the defeat of the Civil War between North and South America in 1861 and 1865. The South was no longer able to participate fully and freely in the development of American society. All of this was due to the South's intolerance of failure and a sense of exclusion. He felt his own identity most strongly when the self-consciousness of the American nation was being formed. William Faulkner is a writer who has painfully suffered the defeat of the South, whose every work deals with the theme of the South. W. Faulkner believes that the Civil War weakened economically, socially, and psychologically advanced families. The breakdown of old values contributed to the mythology of the past, to pre-war wealthy whites - the planters were highly noble, polite, gallant, chivalrous, honest, genuine men, adorned with high human dignity. The family cult was highly valued in the South. Such was the myth of the South, who turned a blind eye to vices, disguised under a mask of false romance. For his sins, though they also had their reasons, two years of slavery was already perceived as a natural phenomenon. Faulkner makes a long, sometimes painful, and heroic judgment of Southern myth in his work. He has turned his pride towards the past, against the despair of the present, and this opposite position causes tension in his works. He evaluated not only the present past, but also the past through myth and, of course, myth through the morality, that emerged from the study of this whole process. Such an understanding of myth is clearly not just one important aspect of W. Faulkner's work.